ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45

2015 წლის 1 ოქტომბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 ივლისის №28 დადგენილების არარად აღიარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 ივლისის №28 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 07.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016172) აღიარებულ იქნეს არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ლილუაშვილი